№ 947 სამშაბათი, 26 ოქტომბერი. 1896—1899 სამშაბათი, 26 ოქტომბერი № 947

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია
ხელ-მოუწერლად წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთი თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363


წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან.

---

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს,
ქართული დრამატიულ საზოგადოების დასისაგან
ქ-ნ ნ. რჩეულისა და ქ. ყიფიანის მონაწილეობით და ქ-ნ ბავთელის სადიბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება
პირველად განახლების შემდეგ
# ლანდი
დრამ. ზღაპ. 5 მოქ. და 6 სურათად გერმანულიდან ბ. ლაზარაშვილისაგან.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი.
დასაწყისი 8 საათზე.

---

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი

## ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეებთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—91)
ო. კორონა.

---

## „ბუნების კარი"
(ახალი შევსებული გამოცემა)
დაიბეჭდა მეათედ (50,000) და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში. ეს გამოცემა შევსებულია ტექსტით გვერდით უფრო დიდი წინანდელს გამოცემაზედ. ფასი კი დაკლებულია. წინად ღირდა 90 კაპ. ახლა ღირს ყდიანად 80 კაპ. ანუ ოთხი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ ათზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 70 კაპ., ხოლო ვინც ოცზედ ნაკლებს არ წაიღებს, იმას წიგნი მიეცემა 64 კაპ.
(6—6)

---

ექიმი
## გ. ს. გენცენფილდი
ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.
არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).
ავადმყოფთ ყოველ დღე დებულობს დილის 9—11 საათამდე და საღმოს 6—9 საათამდე.
კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

---

„უნივერსალნი მაღაზია"
იხილე განცხადება უკანასკნელ გვერდზე.

---

## ექიმი
ქ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

---

ქ. ტფილისში
ექიმი
ნიკო თომას ძე
## ერისთავი
შინაგანის და ნერვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—12½-მდე და საღამოს 7—8 საათზე მიიღებს.
მადერის ქუჩა, მამულოვის სახლი.
(10—10)

---

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
კადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოგანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი. საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის-თვისი
სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია
*Лѣчебница С. В Топурія* въ Кутаисѣ


# ახალი ამბავი

—

*** საეკკლესიო სასწავლებლები. საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ მოითხოვა ახალი კრედიტი საეკკლესიო სკოლებისათვის. ეს კრედიტი იმ ზომისაა თითო სასწავლებელზე, როგორიც არის კრედიტი სამინისტრო სკოლებისა.

*** ქუთაისიდან გვწერენ, რომ იქაური ქალაქის გამგეობის რევიზია დაუწყვია გუბერნიის მთავრობას, რევიზიას განაგებს ბ-ნი ლუკიანენკო.

*** მარშლების არჩევნები. ტფილისის გუბერნიის მარშალმა დანიშნა წლიური კრება გუბერნიის თავად-აზნაურობისა 20 მარტისათვის. ეს კრება ადრე ხდებოდა ხოლმე მაისის გასულს. ამ კრებაზე უნდა არჩეულ იყვნენ გუბერნიის და მაზრების მარშლები, დეპუტატები და მდივანი თანაშემწეთი, რომელთაც უკვე სამი წელიწადი გაუთავდათ!

*** ახალი დანიშნულება. როტმისტრი 44 დრაგუნის პოლკისა ბ-ნი ლლონტი დანიშნულ იქმნა პოლიციის უფროსად ქუთაისის გუბერნიაში.

კორნეტი მხეიძე დანიშნულ იქმნა კავკასის პოლიციის საყარაულოს ობერ-ოფიცრად.

ტფილისის სასულიერო სასწავ-

ლებლის მასწავლებელს გძელიშვილს კოლლეკსკი ასესორობა ებოძა.

*** არჩევნები ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა. 24 ოქტომბერს, მოხდა არჩევნები 3 ხარისხის წარმომადგენელთა ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა. კრებას განაგებდა, როგორც თავმჯდომარე ი. ა. თაიროვი. გამოცხადდა 117 ამომრჩეველი 153 ხმ. ამორჩეულ იქმნენ წარმომადგენლებათ 45 კაცი.

*** ქუთაისის გუბერნიის ქალაქების შემოსავალი და გასავალი. ქუთაისიდან გვატყობინებენ რომ იქაურს ქალაქებს დაედო შემდეგი სახელმწიფო და საერო ხარჯები:

ქუთაისს 15,600,—9868.
ბათუმს 32,166 —16,446.
ფოთს 4,400—1,996.
ოზურგეთს 1 070—757.
სოხუმს 6,981—1,646.
ართვინს 1,961—227.
რედუტ-კალეს 125—70
და ზუგდიდს 697—494.

*** უცნაური ქცევა. 24 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე პირველ თუმანოვის ქუჩაზე, საზარელი შემთხვევა მოხდა; ქუჩაში ბნელოდა, ორს ვიღაც კაცს წაექციათ ერთი კაცი და ახრჩობდნენ, ის საწყალი კაციც ხელებით და ფეხებით იგერიებდა, მაგრამ მაინც ისინი თავისას არ იშლიდნენ. ამ დროს წაადგა ზედ პატარა ბიჭი, რომელმაც დაიყვირა „გოროდოვოი“ და გაიქცა ბიჭი შეშინებული. ეს კაცებიც წამოხტნენ დაავლეს რაღაც მეშოკს ხელი და გაიქცნენ. ამის მნახველმა ბევრი უყვირეს გოროდოვოის, მაგრამ „გოროდოვოი“ არსაიდან არ გამოჩნდა. საწყალი კაცი ღრიალით და მიშველეს ძახილით ლონე გამოცლილი წავიდა თავის სახლისაკენ.

*** გარდაცვალებულის პოვნა. ამ დღეებში მუშტაიდის ბაღში იპოვეს გარდაცვალებული, რომელიც აღმოჩნდა ბელინოვიჩად.

*** ახალი წიგნი. ჩვენ მივიღეთ ახლათ გამოცემული თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი, გამოცემა „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი კარგს ქაღალდზე და შეიცავს 498 გვერდს. ფასი ერთი მანეთი.

*** გამოვიდა აგრეთვე ახალი წიგნი „ჯეჯილის“ გამოცემა „ნელლო და პატრაში“ მოთხრობა უიდისა, თარგმანი ელ. წერეთლისა. [illegible] არის გადმოთარგმნილი, ბავშვებისათვის სახალისო შინაარსი აქვს და ღირს ორი შაური.

დიმიტრი ყიფიანის ძეგლის კურთხევა

გუშინ-წინ, 24 ღვინობისთვეს, აკურთხეს მთაწმინდაში მამა-დავითის ტაძრის გალავანში დიმიტრი ყიფიანის ძეგლი, რომელიც აგებულია ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისაგან. ამ დღეს მრავალმა ხალხმა მოიყარათავი, ისე რომ ეკკლესიის გალავანი სულ გაიჭედა. მწირველები ბრძანდებოდნენ ეპისკოპოსები გორისა ლეონიდი და ალავერდისა—კირიონი მრავალის სამღვდელოების თანადასწრებით. წირვის შემდეგ მამა-დავითის ტაძრის მღვდელმა მაჭარაშვილმა სთქვა სიტყვა, რომლითაც დახატა გარდაცვალებულის ღირსებანი და მისი სასარგებლო და სამაგალითო ღვაწლი. აქ მოვიყვანთ განსვენებულის ბიოგრაფიულ ცნობებს:

დიმიტრი ყიფიანი მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურა თავის სამშობლოს და ერს. ყოველს ჩვენგანს ეხლა მისი სახე თვალწინ გვიდგა და იგი წარმოდგენილი გვყავს დაუღალავ მოღვაწედ და კეთილის მომქმედ კაცათ. არ არის ჩვენში ისეთი რამე დაწესებულება, რომელშიაც განსვენებულ დიმიტრის მონაწილეობა არ მიეღო. ყოველ საქმეში იგი იყო ან მოთავეთ, ან გამგებლათ; ავიღოთ მაგალითად, ჩვენი ბანკი. პირველი აზრი ამ ბანკის დაარსებაზე მხოლოდ მან წარმოსთქვა და ბოლოს კიდევაც ასრულებაში მოიყვანა. ეხლა ეს ბანკი ინახავს ჩვენს სათავად-აზნაურო სასწავლებელს, წინამძღვარიანთ კარის სკოლას ქართულ თეატრს და ეწევა მრავალ ქართველ მოწაფეებს, რომლებიც რუსეთში იზრდებიან.

განსვენებულის თავისი სიცოცხლეში მუდამ პირველი ადგილი ეჭირა. მან დაიწყო სამსახური პოლიციაში, მაგრამ როგორც კარგი განათლებული და მხნე კაცი მალე დაწინაურდა. 1856 წ. იგი გახდა კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის უფროსათ. სამი წლის შემდეგ დანიშნულ იქმნა კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრად. ამ დროს იწყობა მისი მრავალგვარი მოღვაწეობა რადგანაც მას ხელს უწყობდა ცოდნა-განათლება, იგი კარგათ იცნობდა თავის ქვეყნის ყოველ კუთხეს, იცოდა ვისთვის რა იყო საჭირო და ამ გვარად იგი მოქმედებდა. მაგალითად ბატონყმობის გადავარდნის დროს 1864 წელს იგი იყო თავად-აზნაურობის მარშლათ ტფილისში.

იმისავე დროს არის შემოღებული ჩვენი ქალაქის თვით-მმართველობა სადაც ამორჩეულ იქმნა ქალაქის თავად. ბოლო წელიწადებს დიმიტრი ემსახურა ქუთაისის თავად-აზნაურობას, ვითარცა მარშალი მაგრამ აქ გარემოება შეეცვალა და იგი მოშორებულ იქმნა თავის სამშობლო ქვეყანას. იგი იყო გაგზავნილი ქ. სტავროპოლში, სადაც ბოროტ-მოქმედმა პირებმა ბოლო მოუღეს.

ძეგლის კურთხევის დღეს ყოველმა საქართველოს კუთხემ მონაწილეობა მიიღო. იქ ნახავდით თქვენ გურულს, მეგრელს, სვანს, აფხაზს და სხვას, წარმომადგენელი ყოველს ხალხსა ჰყავდა. იყვნენ წარმომადგენელნი ჩვენის თავადაზნაურობისა, სათავად-აზნაურო ბანკისა სკოლისა, ქალაქის გამგეობისა; იყვნენ მრავალი მისი ნათესაობა, მისი კეთილის მყოფნი და სხვ. ძეგლი გვირგვინებით იყო მორთული. გვირგვინები იყო თავისი გვარისაგან, ყიფიანთაგან, ქალაქის გამგეობისაგან, ჩვენის ბანკისაგან, სათავად-აზნაურო სკოლისაგან, ქ. ვანჯის ქართველობისაგან, ქართული რედაქციებისაგან, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან, ქუთაისის უფასო სასწავლებლის ეპისკოპოს გაბრიელის შეგირდებისაგან ქართულ დრამატ. საზოგადოებისაგან და სხვა მრავალი.

ძეგლი არის აგებული თეთრი მარმარილოსაგან. მარმარილოზედ სდგას ნაკვთი განსვენებული.

ეს ძეგლი არის გაკეთებული მშვენივრად საზღვარ გარეთ იტალიაში ძეგლს აწერია რუსულ და ქართულ ენებზედ: დ. ი. ყიფიანი 1814—1887 წ. 14-ს ოქტომბერს.

წირვა გათავდა $12^1/_2$ საათზედ დაიწყო პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა. გადახადეს თუ არა სუდარა ძეგლსა გამოჩნდა თვით ნამდვილი დიმიტრი. ჩვენს გულში იგი ცოცხალი იყო და თვალი მისს ნამდვილს სახეს მისჩერებოდა, რის გამოც ვივსებოდით გრძნობით. კურთხევის შემდეგ სიტყვა სთქვა სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ივ. რატიშვილმა.

ერგნელი.

(დასასრული იქნება)

## სამეურნეო ცნობა

ოკლე დარიგება ვაზის მოშენებაზე და ღვინის დაყენებაზე.

(შემდეგი *)

ვაშლის წვენით ძმრის მომზადება. აიღეთ ვაშლის წვენი დაასხით ძალზედ გაქაჯული ყურძნის ჰაპაზედ, *) ქურქელი დადგით თბილ ადგილას სამზარეულოში, როცა წვენი დაიდუღებს ჰაჰაზედ, ორი კვირის შემდეგ წვენი გადაიღეთ სხვა ჭურჭელში და ჭურჭელი ისევ დადგით თბილ ადგილას ერთი თვის შემდეგ გაკეთდება მშვენიერი ძმარი; თუ ვინიცობაა გვინობამდისინ არ დაძმარდეს, მაშ შიგ ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი საფერავის ვაზის ყლორტები, კიდევ ხაშის გუნდა. რამდენიც იხმაროთ ძმარი, იმდენივე ზემოდამ დაასხით ნარჩენი ღვინო, ამ წესით შეიძლება მომზადდეს მსხალისაც.

ყურძნის ძმრის ომზადება აიღეთ თხლე ან ჰაჰა, ზედ დაასხით რამდენიმე ვედრა ან თუნგი ცივი წყალი, ჭურჭელი დადგით თბილ ადგილას სამზარეულოში, როცა თხლე ან ჰაჰა დუღილს მორჩება და დაწმდება, მაშინ სუფთა წვენი გადიღეთ სხვა ჭურჭელში, ოღონდ ჭურჭელი დადგით ისევ თბილ ადგილას. ვინიცობაა თუ კარგად ვერ დაცხარდეს, მაშინ შიგ ჩადეთ მუშტის ტოლა ხაში, რომელიც მალე დააცხარებს. და თუ ხაშმაც არ დააცხარა, მაშინ შიგ ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი საფერავის მწვანე ყლოროტები. ისე მომზადებული ძმარი შეიძლება იხმაროთ ორი თვის შემდეგ. ხოლო რამდენ ბოთლსად იხმარებთ ძმარს, იმდენი ბოთლი ზემოდამ დაუმატეთ დაბალი ხარისხის ღვინო და თუ ძმარი ძალიან მცხარეა, მაშინ ღვინის მაგივრად დაუმატეთ მუხ[illegible]ჩაი. ამ გვარად მომზადებული ძმარი დიდ შეღავათს აძლევს მეოჯახეს.

არჩილ დარეჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 943.

*) წითელ ძმრის მოსაღებათ, ვაშლის წვენი უნდა დააყენოთ წითელ ყურძნის ჰაჰაზედ, თეთრი ძმრის მისაღებ[illegible] თეთრ ყურძნის ჰაჰაზედ.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ორშაბათს, საღამოთი, ბურები ხელ-ახლა მიადგნენ ლედი-სმიტს და რამდენიმე ყუმბარა ესროლეს ინგლისელთა ბ[illegible]ნაკსათ. სამშაბათს, გათენების[illegible] ბურებმა ახალი ზარბაზნები დ[illegible]გეს სასროლად. ამბობენ, რ[illegible] ბურებმა ძლიერ იზარალესო. [illegible]ლისის ჯარი კარგ მდგომარე[illegible]შიაო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. უაიტი დეპეშაში ასე აღწერს 18 ოქტომბრის ბრძოლას: „ინგლისელებმა რეკოგნოსციროვკა, რომლისთვისაც დიდი ჯარი იქმნა გაგზავნილი, კარგად შეასრულეს ამავე დროს ბურებმა თავი მიანებეს იმ ადგილს, სადაც გამაგრებული იყვნენ. შემდეგ ბურებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ჩვენს ჯარზედ. ინგლისელთა ნელნელა უკან დაიწიეს, აქა-იქ დასტოვეს მხოლოდ მცირე რაზმები. პოლკოვნიკის კარლტონის რაზმი კვირას საღამოთი გაემართა ერთის ადგილის დასაჭერად, რადგანაც ამ რაზმს ჯარის მარცხენა მხარე უნდა დაეცვა. მოულოდნელად ორი უზარ-მაზარი ქვა ჩამოვარდა და ამან საშინლად დააფრთხო ჯორები, რომელთაც ტყვია წამლის ყუთები ეკიდათ. ამ ჯორების დაჭერა ვერაფრით ვეღარ მოახერხეს. რაზმმა დიდ-ძალი ტყვია-წამალი დაჰკარგა. ამავე დროს ქვეითა ჯარმა შუბებით გზა გაიკვლია და ცოტაოდენის ბრძოლის შემდეგ გორაკი დაიჭირა, სადაც გათენებამდის დაჰყო. ამით ისარგებლა მოწინააღმდეგემ და იერიში მიიტანა. 3 საათზედ ინგლისის ზოგიერთს რაზმს უკან დაწევა ებრძანა. იმათი ადგილი ბურებმა დაიჭირეს. ვინც ცოცხალი გადარჩა, მოწინააღმდეგემ ტყვედ წაიყვანა. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ქვეითა ჯარის $10^1/_2$ როტა და ერთი სამთო ბატარეა. ამათ უნდა მარჯვენა მხრიდგან მოეარათ მტრისთვის და ნიკოლსონნეკი დაეჭირათ. ჯარის დამარცხება უნდა მიეწეროს ჯორების დაფრთხობას და თოფ-წამალის და იარაღის დაკარგვას. ლედი-სმიტს არავითარი განსაცდელი არ მოელის“.

**ბერლინი.** როგორც ბერლინელი გაზეთები იუწყებიან, ისლანდიელთა ერთი გაზეთი სწერს ლედი-სმიტთან ინგლისელების დამარცხების შესახებ: „ირლანდიაში თავისუფლების გამარჯვებამ დიდი სიხარული გამოიწვია, მაგრამ ამ სიხარულს უერთდება ის სამწუხარო ამბავიც, რომ ირლანდიელნი ჯარის კაცნი თანამოზიარენი არიან იმ უბედურებისა, რომელიც მტანჯველებს სამართლიანად დაატყდა. შემდეგ გაზეთი სწერს: „ის აზრი, რომ ინგლისს შეუძლიან წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს მანჯურიასა და ინდოეთსაო, საცინელი ხდება უაიტისაგან მოსულის მოხსენების შემდეგ. ლონდონელი გაზეთები სცდილობენ ჩააფუჩეჩონ ეს საქმე, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ იმპერია დამარცხებულია. მოვა დრო, როდესაც ბრიტანიის ხალხი მოითხოვს თავისს ლეგიონების დაბრუნებას და ჩემბერლენს პასუხის გებაში მისცემს“.

**ბერლინი.** „Local Anr“-ს ლონდონიდგან ატყობინებენ: როგორც ოლდერ-შოტტიდგან იუწყებიან, იქ ამ ცოტას ხანში შესდგება სრული დივიზია, სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნად.

**პეტერბურგი.** დღეს, ტახტზედ ასვლის დღესასწაულის გამო, დეპეშები მოვიდა მოსკოვიდგან, ვილნოდგან, ყაზანიდგან და სხვა ქალაქებიდგან, რომლებშიაც იუწყებიან, რომ პარაკლისები იქმნება გარდახდილიო.

**ლონდონი.** 21 ოქტომბერი. „რეიტერის სააგენტო“. გაზეთები თან და თან ჰკიცხავენ აფრიკაში მყოფ ჯარის გენერლების მოქმედებას. „Times“-ი ამბობს, რომ გენერალ უაიტის გეგმა არა სამხედრო კაცსაც-კი საშიშოდ ეჩვენებაო.

**ედინბარგი.** „რეიტერის სააგენტო“. ბანკეტზედ, რომელიც გამართულ იქმნა სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნ ჯარის პატივ საცემად, როზბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, განაცხადა: „შეიძლება, ინგლისმა ამ ომში სხვა ბატალიონებიც დაჰკარგოს, ბრძოლამ აფრიკაში სხვა აფიცრებიც იმსხვერპლოს და მილიონების გადადებაც საჭირო გახდეს, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ინგლისი ეხლა უკან ვეღარ დაიხევს და ერთხელ დაწყებულს საქმეს ვერ მიანებებს თავს. ვინ არის ყველა ამაში დამნაშავე და ვინ არა,—ეს შემდეგ გადაწყდება, ეხლა-კი ხალხი უნდა მიენდოს იმათ, ვის ხელშიაც სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმეა“.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო“. უმაღლესი სასამართლო შეიკრიბა 28-ს და არა 29 ოქტომბერს.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 17 ოქტომბერს ლედი-სმიტიდგან გამოგზავნილი; ბურები წინ მიდიან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. როგორც ეტყობათ, ბურებს აზრადა აქვთ კოლენზოსთან რკინის გზა დაიჭირონ და მიმოსვლა მოსპონ პიტერ-მარიცბურგსა და დურბანს შორის“.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. ინდოეთის სტატს-სეკრეტარმა ინგლისში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ სამხრეთი აფრიკა სრულიად შეიცვლებაო. როდესაც ინგლისი თავისს პირობებს წამოაყენებს, ყველა ერნი მიჰხვდებიან, რომ ინგლისს ჰსურდა აფრიკის განთავისუფლება დამამცირებელ მტარვალობისაგანაო.

**ლონდონი.** როგორც „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ, დღეს სამხედრო სამინისტროს უაიტისაგან დეპეშა მიუღია. ამბობენ, დეპეშაში ნათქვამია, რომ საქმე ჯერ კარგად არის და უაიტს შიში არ მოელისო.

„Times“-ში დაბეჭდილია დეპეშა დეაარიდგან მიღებული. როგორც ამბობენო, იუწყება დეპეშა, 3000 ბური ბეტულის ხიდთან სდგასო. ეს ხიდი ორანჟეს მდინარეზეა.

**კაპშტადტი.** იმ ამბავმა, რომ ბურებმა ლედი-სმიტში ორჯელ გაიმარჯვესო, დიდი არეულობა გამოიწვია. აფრიკანდერები ბურების გამარჯვებების გამო თავიანთ სიხარულს აღარა ჰმალვენ. მათი მოქმედება ძალიან აფიქრიანებს გუბერნატორს მილნერს. ორს ბრძოლაში გენერალმა უაიტმა დაჰკარგა 3,500 კაცი; ამათში ზოგი მოკლულია, ზოგი დაჭრილი, ზოგიც მტერმა ტყვედ წაიყვანა. ამ ორს ბრძოლაში მეორედ ორანჟელებმა გაიმარჯვეს, გენერალის ლუკას მეიერის წინამძღოლობით. მეიერმა კოლენზო დაიჭირა და ამ რიგად უაიტს გასაქცევი გზა წაართვა. ამასთან ამბობენ, რომ უაიტი დაჭრილიაო, ბურები ლედი-სმიტს გარშემო არტყიან. ამ ქალაქიდგან გამოსვლა შეუძლებელია. პიტერმარიცბურგისა და დურბანის რკინის გზა ბურების ხელშია. როგორც დასავლეთიდგან იუწყებიან, ბურებმა მეფკინგსაც შემოარტყეს ალყა, ამ ქალაქის აღებას დღედღეზედ მოელიან. ის ხმაც მართლდება, რომ ორანჟელებმა კოლესბურგი დაიჭირესო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. დღესვე მოსული დეპეშა იუწყება, რომ დღეს დილით მძიმედ დაიჭრა ყუმბარის ნამტვრევით ლეიტენანტი ეგერტონიო. ეს ერთად-ერთი დეპეშაა დღეს სამინისტროს მიერ ლედი-სმიტიდგან მიღებული.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. საღამოს $11^1/_2$ საათი. ნატალის გუბერნატორი იუწყება, რომ დღეს, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათიდგან, ლედი-სმიტი სრულიად მოსწყვიტეს დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებს, იქ მისვლა შეუძლებელიაო.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ როგორც პიტერმარიცბურგიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, ბურებმა ზულუსების მიწის ნაწილი დაიჭირეს. დაიჭირეს აგრეთვე პომეროიც, რომელიც გრეიტაუნიდგან 50 მილის მანძილზეა.

**ლონდონი.** 22 ოქტომბერი. „რეიტერის სააგენტო“ სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ ორშაბათს ლედი-სმიტთან მომხდარ ბრძოლაში მოკლულ იქმნა 6 აფიცერი და 54 ჯარის-კაცი; დაჭრილ იქმნა 9 აფიცერი და 231 ჯარის-კაციო.

დედოფლის ბრძანების თანახმად, 35 ბატალიონი მილიცია იქმნა მოწვეული 8 ნოემბრისთვის.

**ლეიპციგი.** მანიფესტაციაში, რომელიც ბურების სასარგებლოდ იქმნა გამართული, მონაწილეობა მიიღო 4000-მდე კაცმა და ქალმა. დაადგინეს თანაგრძნობა გამოუცხადონ ბურებს. ხელის მოწერა იქმნა გამართული დაჭრილთა სასარგებლოდ.

**ბერლინი.** ბრიუსელიდგან იუწყებიან, რომ ლედისის ფიქრით ბურების ძლიერი რაზმი იმ ჟამად პიტერმარიცბურგისა და დურბანისაკენ მიდის, რათა დურბანში საუკეთესო ადგილები დაიჭიროს და ინგლისის ჯარს ნაპირზედ გადმოსხმის ნება არ მისცეს.

**ბერლინი.** ლონდონიდგან დეპეშით იუწყებიან: ბევრი გაზეთი შიშობს, რომ სამინისტრო არ იუწყება ბრძოლის ველიდგან მოსულ ყველა დეპეშებსაო.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთები იუწყებიან რომ რკინის გზა დურბანსა და ლედი-სმიტს შუა თავისუფალია და ბურები ჯერ არ დასხმიან კოლენზოსაო.

**პარიზი.** მინიციპალურმა საბჭომ დაადგინა თანაგრძნობა გამოუცხადოს ბურებს, რომელნიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის. ამასთან საბჭომ თავისი მწუხარება განაცხადა იმის გამო, რომ ევროპა არ ჩაერია ამ საქმეში.

**ლონდონი.** „Dailu Nems“-ს დეპეშით ატყობინებენ დურბანიდგან: აქ უკმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ ინგლისს ნატალში საკმარისი ჯარი არა ჰყავს. ძალიან იმოქმედა განსაკუთრებით 18 ოქტომბერს იმდენის ინგლისელის ტყვედ წაყვანამ.


# განცხადებანი

იყიდება
„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

| | |
|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე . | 2 „ |
| ალექსანდრე ყაზბეგისა | 2 „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . | 2 „ |
| პატარა ბიბლიოთეკა . . | 2 „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—30)

!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის [illegible] სობრანიეს გვერდზედ.

**იმემეთ ჩაი** პირველი მოკრებისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და პარტიებით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანეთზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საპირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია

საჩუქრებისა და ნიშათებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—86)

# ქართული წერის რვეულები

(ახალი გამოცემა)

„დედა-ენასთან“ სახმარებელი, დაიბეჭდა ახლად საუკეთესო ქაღალდზე და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი ოთხი კაპეიკი. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ასობით, იმას თითო რვეული მიეცემა $3^{3}/_{4}$ კაპეიკად; ხოლო ვინც ხუთასობით იყიდის, თითო რვეული დაეთმობა სამ კაპეიკ ნახევრად $3^{1}/_{2}$ კაპ. (6—6)

# СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ

**общедоступный еженедѣльный журналъ**

**Въ годъ 52 №№ журнала и 12 книжекъ библіотеки «СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ».**

Подписная цѣна съ пересылкой и доставкой: на годъ 5 руб., на ½ года 3 руб., За границу 8 р.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА:**

съ 1-то Августа по 1-е Января 1900 года со всѣми приложеніями—2 руб. съ пересылкой.

За всякую перемѣну адреса—50 к., можно марками.

За объявленія: за строку петита въ одинъ столбецъ по 30 коп. (три столбца на страницѣ).

**ЦѢНА ОТДѢЛЬНАГО НОМЕРА 15 КОП.**

Подписка принимается въ конторѣ журнала, С.-Петербургъ, Невскій. 148.

**Въ журналѣ принимаютъ участіе:** В. А. Анзиміровъ.—И. А. Баженовъ.—Проф. Н. И. Быстровъ.—Д-ръ В. М. Бурлаковъ.—Проф. А. Я. Данилевскій.—Проф. В. П. Доброклонскій.—Проф. Г. А. Донбергъ.—Д-ръ А. О. Дукатъ.—Пр. доц. В. П. Жуковскій.—Проф. С. І. Залесскій.—Д-ръ М. Д. Ильинъ—Д-ръ В. ф. Краевскій.—Проф. П. ф. Лесгафтъ.—Проф. Е.—Павловъ.—Проф. В. В. Подвысоцкій (Кіевъ).—Проф. А. В. Пель.—Д-ръ В. И. Раммъ.—Проф. И. А. Сикорскій (Кіевъ).В Проф. И. П. Скворцовъ (Харьковъ).—Академикъ Князь И. р Тархановъ.—Д-ръ А. Н. Шабанова.—Д-ръ Б. Е. Шэхтеръ и Рд.

**Подписка на 1899 годъ продолжается.**

Всѣ вновь подписавшіеся на 1899 годъ получатъ журналъ со всѣми безплатными приложеніями съ 1-го Ноября 1898 года по 1-е Января 1900 года, т. е. 60 нумеровъ журнала и 16 ежемѣсячныхъ безплатныхъ книжекъ.

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской** по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—89)

ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭრო

# „უნივერსალნი მაღაზია“

კ. გ. ყარიბოვისა (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის ბაღთან)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, საოჯახო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

**ეს არის ახლად მიღებულია დიდძალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოლგები. | შლიაპები. | სარკეები. | კალოშები. |
| თეთრეული | სარტყლები. | ნესესერები. | სამრეწველო საქონელი. |
| კორსეტები. | მოსართავები. | პორტმონეები. | **არტურ კრუპპის ქარხნის** ლითონეულობის ნაკეთობა. |
| წინდები. | ლენტები ყოველნაირი. | სანობათო ნივთები. | **„ალპაკას“ ნახელოვნები,** სქლად მოვერცხლებული. |
| ჩულქები. | ბალდადები. | საქორწილო სამკაულები. | **სამზარეულო ჭურჭლები,** წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის. |
| ფუფაიკები. | ხელსახოცები. | საბავშო ტანსაცმელები. | **შუშები** ფანჯრებისათვის მოგემიდან. |
| ქერსე. | ყელსახვევები. | ქალების კაბების საკაზმები. | |
| პერჩატკები. | პირბადეები. | ფანჯრის ტულები. | |
| კრუჟევა რუსული და გრან. | აგრამანტები. | ქსოვილი სუფრები. | |
| შალები თბილი. | გამაშები. | საბნები ქსოვილები. | |
| შარფები. | რედიკულები. | ბალიშის პირები. | |
| ყელსახვევი (ბოა). | ალბომები. | ბამბები შალისა. | |
| | | ყოველგვარი ფერისა. | |

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი. ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს. (50—12)

მაღაზიას ყოველ კვირას სულ ახალ-ახალი საქონელი მოსდის.